სასამართლოში სარჩელის შეტანის დროს დაშვებული არსებითი და არაარსებითი დარღვევები, მათი კლასიფიკაცია და შედეგი.

ნინო მაისურაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: უჩა თოდუა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ნ.მაისურაძე

25.06.2024

აბსტრაქტი

პირველი ინსტანციის სასამართლოებში ყოველდღიურად ათეულობით, ზოგჯერ კი ასეულობით სარჩელი რეგისტრირდება სასამართლოს კანცელარიის მიერ. სასამართლოს კანცელარია აღნიშნულ სარჩელს გადასცემს შესაბამის მოსამართლეს, რომელმაც ჩაბარებიდან ხუთი დღის განმავლობაში უნდა გადაწყვიტოს სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა დეტალურად მიუთითებს იმ სავალდებულო რეკვიზიტებს, რომლებიც უნდა ისახებოდეს სარჩელის შინაარსში, მოსამართლეები უმეტეს შემთხვევაში იღებენ განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან სარჩელი არ შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დადგენილ შინაარსობრივ ან/და ფორმალურ მოთხოვნებს.

წინამდებარე ნაშრომის მთავარი მიზანია პირველი ინსტანციის სასამართლოებში სარჩელის შეტანის დროს დაშვებული დარღვევების იდენტიფიცირება, მათი კლასიფიკაცია არსებითი და არაარსებითი დარღვევების ჭრილში და შესაბამისი შედეგების წარმოჩინება.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში განხილულია ადამიანის კონსტიტუციური უფლება - მიმართოს სასამართლოს დარღვეული უფლების დასაცავად, წარმოდგენილია სარჩელის შეტანის დროს დაშვებული შეცდომები, მათი დიფერენციაცია და შედეგები. ნაშრომის ფარგლებში მიმოხილულია ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები, ნორმები, კონკრეტულ დისპოზიციათა ცვლილებები, ამასთანავე, შემოთავაზებულია ეროვნული თუ საერთაშორისო სასამართლოთა გადაწყვეტილებები. ნაშრომი ასევე მოიცავს სტატისტიკურ მაჩვენებელს დარეგისტრირებულ და წარმოებაში არ მიღებულ სარჩელებთან დაკავშირებით.

ნაშრომში ავტორის მიერ ჩამოყალიბებულია ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემატიკა, მათი მოგვარების გზები და საშუალებები.

Abstract

Dozens and sometimes hundreds of lawsuits are registered by the court registry in first instance courts every day. The Chancellery of the Court will transfer the said claim to the relevant judge, who must decide on the issue of accepting the claim in the proceedings within five days after submission.

Despite the fact that the civil procedure legislation of Georgia specifies in detail the mandatory requisites that must be included in the content of the lawsuit, judges in most cases make a decision to refuse to accept the lawsuit, since the lawsuit does not comply with the content and/or formal requirements established by the Code of Civil Procedure.

The main purpose of this paper is to identify the violations committed during the filing of the claim in the courts of the first instance, classify them in terms of essential and non-essential violations and present the corresponding results.

Within the framework of the present study, the constitutional right of a person to apply to the court to protect the violated right is discussed, the mistakes made during the filing of a lawsuit, their differentiation and consequences are presented. Within the framework of the work, the requirements of the national legislation, norms, changes in specific norms are reviewed, besides, the decisions of national or international courts are proposed. The paper also includes statistics on the number of registered and unsuccessful lawsuits.

In the work, the problem related to the above-mentioned issues, the ways and means of solving them are formulated by the author.